

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2021 -2027 წწ.

დოკუმენტი შემუშავებულია რექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია 2009 წლიდან 2020 წლის 03 სექტემბრამდე არსებული საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის სახელშეცვლილი დაწესებულებაა, რომლის მიზანიცაა დააკმაყოფილოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნები და რეკონდაციები ზოგადი განათლების მიმართულებით. სტრატეგიული გეგმის მიზანია განსაზღვროს ის პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები, რომლითაც გიმნაზია იხელმძღვანელებს მომავალი 6 წლის განმავლობაში (2021- 2027 წწ.) და ხელს შეუწყობს რეაგტორიზაციისათვის მზადებას და წარმატებით გავლას.. სტრატეგიული გეგმის შესაბამისობიდან გამომდინარე ერთწლიანი განვითარების სამოქმედო და პრევენციული ღონისძიებების გეგმები შესაძლებლობას მოგვცემს გიმნაზიამ წარმატებით განახორციელოს მიზნები და ამოცანები.

- აღზარდოს მოსწავლეები ეროვნულ-კულტურულ და ტრადიციული ღირებულებების შესაბამისად;
- დაეხმაროს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებში მცხოვრებ ქართველი ბავშვებს შესაბამისი სახელოვნებო განათლების მიცემაში;
- ხელი შეუწყოს საქართველოს რეგიონებიდან და უცხოეთიდან მოსწავლეთა დედაქალაქში ჩამოყვანას და მათთვის ხარისხიანი განათლების მიღებაში.

ჩვენი გიმნაზიის პრინციპები ეფუძნება გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას, კოლეგიალობას და გუნდურობას, სწავლების ხარისხზე მუდმივ ზრუნვას და შედეგზე ორიენტირებულ საქმიანობას.

გიმნაზიამ გამოავლინა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები და მასზე დაყრდნობით შეიმუშავა გამოვლენილი ნაკლოვანებების მოგვარების მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგია და გეგმები. გაითვალისწინა მასწავლებელთა პროფესიული შესაძლებლობები, მათი და დანარჩენი დასაქმებულების საჭიროებები, გიმნაზიის ბიუჯეტი და ფინანსური მდგომარეობა, მშობელთა მოთხოვნები, რამაც დღის წესრიგში დააყენა მოსწავლეთათვის ხარისხიანი, სტანდარტების შესაბამისი განათლების მიცემის აუცილებლობა. შეფასების პროცესი, სისტემის მრავალფეროვნება და მრავალმხრივობა დადგა დღის წესრიგში. გიმნაზია რექტორატი და დირექტორატი, მიზანდასახული მიდგომებით, დასაქმებული პროფესიული კვალიფიციური ადამიანური რესურსით შეძლებს სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხიანი განათლების მიცემას მოსწავლეებისათვის და მშობელთა სურვილის დაკმაყოფილებას.

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2021 -2027 წწ.

მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფა

N	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი	სავარაუდო პერიოდი	ღონისძიების აღმწერი
	რეავტორიზაცია	აღმასრულებელი დირექტორი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი, კლასგარეშე ღონისძიებების მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, სამეურნეო მენეჯერი, იურიდიული და დაცვის სამსახურის უფროსი	2021-2022	სკოლა-პანსიონის სახელის შეცვლის შემდეგ გიმნაზიას ავტორიზაციის ვადა ეწურება 2022 წლის 05 აპრილს, ავტორიზაციის დებულების მხედვით, გიმნაზიამ 180 დღით ადრე უნდა წარადგინოს მაძიებლის შევსებული კითხვარი, რომ ამ მოხდეს წყვეტილობა და დღის წესრიგში არ დადგეს მოსწავლეთა მობილობის საკითხი. რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია მუშაობს ავტორიზაციის სტანდარტების სრულყოფილად დაკმაყოფილებისათვის.
1	ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სასწავლო ფლიგელების კაპიტალური შეკეთება	რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, ადმინისტრაცია	2021-2027	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით და სასკოლო სასწავლო გარემოს გაუმჯობესებით, გიმნაზიას მიეცემა შესაძლებლობა საუკეთესო გარემოში განახორციელოს სასწავლო პროცესი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებას.
2	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-განახლება	რექტორი, ადმინისტრაცია სამეურნეო მენეჯერი	2021- 2022	ახალი ინვენტარი/ტექნიკა, გამართული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და სტანდარტების შესატყვისი საშუალებებისა და ინსტრუმენტების გამოყენება აამაღლებს მოსწავლეთა ცნობიერებას.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

3	გიმნაზიის ვებ-გვერდის ეტაპობრივად განახლება	აღმასრულებელი დირექტორი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ისტ მენეჯერი	2021- 2027	სიახლეების შესახებ, ინფორმირების მიზნით, გიმნაზიის ვებ-გვერდის განახლება რეგულარულად.
4	ბიბლიოთეკის ფონდის განახლება	ბიბლიოთეკარი, კლასგარეშე ღონისძიებების მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი	2021 – 2027	საგანმანათლებლო პროგრების სრულფასოვანი განხორციელება, მოსწავლეებისათვის განახლებული ლიტერატურის შეთავაზება ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.
5	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების, ხელოვნების მიმართულებით შესაბამისი სასწავლო მასალის სრულყოფა	აღმასრულებელი დირექტორი, სასწავლო პროცესების მენეჯერი	პერიოდულად	მოსწავლე შეძლებს დროის ეფექტურად გამოყენებას, მას ექნება ყველა საჭირო მასალის, სასწავლო რესურსების მიღების შესაძლებლობა, რომელიც თავისი შინაარსით შესაბამისობაში იქნება საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან. მრავალფეროვანი მუსიკალური ინსტრუმენტი, სხვადასხვა წრეებში ჩართულობით მოზარდს ფართო არჩევანის შესაძლებლობა მიეცემა.
6	გიმნაზიის სააქტო დარბაზის აღდგენა	რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, ფინანსური და სამეურნეო მენეჯერები	2021 – 2027	გიმნაზიაში ტარდება სხადასხვა სახის კლასგარეშე ღონისძიებები, სასწავლო-შემოქმედებითი აქტივობები, რისთვისაც გამოიყენება ბიბლიოთეკის სივრცე და სპორტ დარბაზი. ფინანსური პრობლემის მოგვარება შესაძლებელს გახდის სააქტო დარბაზის აღდგენა, კაპიტალური შეკეთება, რაც უფრო აქტიურს გახდის შემეცნებით აქტივობებს.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

ადამიანური რესურსი				
7	გიმნაზიაში დასაქმებული ადამიანური რესურსების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაში ხელშეწყობა	რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, სასწავლო როცესების მენეჯერი	2021-2027	ადამიანური რესურსების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაში ხელშეწყობის მიზნით გიმნაზია შეძლებს მასწავლებლებს (თანადაფინანსებით) დაუფინანსოს შესაბამის ტრენინგ-მოდულების კურსები. შედეგად გიმნაზია უზრუნველყოფს სწავლების არსებული ხარისხის შენარჩუნებას და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის მაღალი ხარისხის განათლების ეტაპობრივად ამაღლებას.
8	კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოტივაციის გაზრდა	რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, სასწავლო როცესების მენეჯერი	2021 -2027	არსებული ხარისხის მართვის სამსახურის გაძლიერება, მიმართულებების მიხედვით მენეჯერების სამსახურის გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს გიმნაზიაში საქმიანობის წარმართვის ხარისხობრივი მაჩვენებლის გაზრდას და სრულყოფას.
9	ტრენინგებში, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა	აღმასრულებელი დირექტორი, ხარისხის მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი, ს. პროცესების მენეჯერი	2021-2027	გიმნაზიაში დასაქმებულ პერსონალს გამოუმუშავდება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ეფექტური მართვისა და მომსახურების უნარები, ხოლო პედაგოგიური პერსონალი პრაქტიკული მიმართულებით გადამზადდება.
10	გიმნაზიაში დასაქმებული ადამიანური რესურსების მართვა საქმისწარმოების წესისა უფლება-მოვალეობების სრულყოფა	აღმასრულებელი დირექტორი, ხარისხის მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი, ს. პროცესების მართვის მენეჯერი	2021-2027	სამუშაო აღწერილობის დახვეწით პერსონალი სრულყოფილად გააცნობიერებს თავის უფლება - მოვალეობას, ვალდებულებისა და ფუნქციების წინაშე პაუხისმგებლობას

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა				
1	არსებული პროგრამების მუდმივი განახლება და სრულყოფა, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეებისათვის მუსიკალურ განათლებაში ხელშეწყობა	აღმასრულებელი დირექტორი, ხარისხის მართვისა და სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი	2021-2027	არსებულ პროგრამებში, სტანდარტები, ახალი ხედვები ხელს შეუწყობს ხარისხის განვითარებას, მოსწავლეებს დაეხმარება აღიზარდონ კულტურულ-მემკვიდრეობითი, ტრადიციული ღირებულებების შესაბამისად; მოსწავლეებში მუსიკალური, ხალხური რეწვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წრეებში ჩართულობა დაეხმარება ხელოვნების მიმართულებით უნარ-ჩვევების განვითარებაში.
2	საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმის/კითხვარების დახვეწა	აღმასრულებელი დირექტორი, ხარისხის მართვისა და სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი, კლ.ლონისძიების მენეჯერი	2021-2025	სასკოლო სასწავლო გეგმისა და პროგრამების შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ხდება მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის საფუძველზე.
3	მოსწავლეთა და შეფასების სისტემის დახვეწა და გამრავალფეროვნება	აღმასრულებელი დირექტორი, ხარისხის მართვისა და სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი	2021-2027	სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები, ქცევა) შეფასება იყოს გამჭვირვალე. შეფასების სისტემის დახვეწა ხელს შეუწყობს შეფასების ისეთი ინტრუმენტებისა და კრიტერიუმების დანერგვას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა შემდგომი განვითარება და მათი მოტივაციის ზრდა.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

4	<p>შეფასების კომპონენტებისა და შეფასების კრიტერიუმების ფორმულირების დახვეწა</p>	<p>მართვისა აღმასრულებელი დირექტორი, ხარისხის და ს/წ სასწავლო პროცესების მართვის მენჯერი</p>	<p>2021-2027</p>	<p>მოსწავლის შეფასება მნიშვნელოვანია სწავლაში მისი მოტივაციის ამაღლებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მას ეროვნულ გამოცდებზე წარმატების მიღწევაში, მისი ცხოვრების გზაზე გასასვლელად მზაობის განსასაზღვრაში, ამიტომ შეფასების მექანიზმების, ინსტრუმენტებისა და კრიტერიუმების სწორი ფორმულირება განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს.</p>
5	<p>ეროვნულ გამოცდების შედეგების სტატისტიკის მუდმივი განახლება</p>	<p>აღმასრულებელი დირექტორი, ხარისხის და ს/წ მენეჯერი, სასწავლო პროცესების მართვის მენჯერი</p>	<p>2021-2026</p>	<p>გიმნაზისტისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმის ცოდნა, რომ მისი კურსადამთავრებული დასაქმდა, არამედ მუდმივი, გრძელვადიანი კონტაქტი მათთან და მათი შრომის ბაზარზე მოძრაობის დინამიკის აღწერა, შეფასება, ანალიზი. გიმნაზია დაინტერესებულია ჰქონდეს პასუხები კითხვებზე: მისი კურსდამთავრ-ებული დასაქმდა თუ არა, რა პოზი-ციაზე? კითხვებზე სისტემატური პასუხების გაცემით,</p>

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

6	უსაფრთხო სასკოლო სასწავლო გარემო	სასწავლო პროცესების მართვის მენჯერი, იურიდიული და დაცვის სამსახურის უფროსი	2021-2027	<p>გიმნაზიას კარგადაა აქვს გაცნობიერებული, რომ სკოლა სოციალური ინსტიტუტია და ყოველი მოსწავლე ამ გარემოს მონაწილე, სადაც სწავლობს კრიტიკულ აზროვნებას, არჩევანის გაკეთებას, ემზადება მომავლისთვის. როცა დაცულია, არაფერი ჩაგრავს, არ დასცინის, არ ჭორაობს მასზე, როცა პროფესიონალები ასწავლიან და იგებს, რასაც ასწავლიან, გრძნობს სიყვარულს; როცა მის აზრს ითვალისწინებენ, პატივს სცემენ. საინტერესო გაკვეთილები, მათ შორის, სპორტული და სახელოვნებო, კეთილგანწყობილი მასწავლებლები ქმნიან მოტივიციას.</p> <p>მოსწავლეებმა სკოლაში თავი როგორც ფიზიკურად, ისე ემოციურად უსაფრთხოდ იგრძნონ, უსაფრთხო სასკოლო სასწავლო გარემო სკოლაში უცხო პირების შესვლა მკაცრად გაკონტროლდება, მშობლების სტუმრობისთვის ერთი დღის გამოყოფი, სართულებზე გაკვეთილების თუ შესვენების დროს მასწავლებელთა მორიგეობა,</p>
---	----------------------------------	--	-----------	---

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

7	სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა	აღმასრულებელი დირექტორი, ხარისხის და ს/წ მენეჯერი, სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი	2021-2027	გიმნაზიისთვის პრიორიტეტულია მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვა, მენეჯმენტის გაუმჯობესება და ერთიანი ორგანიზაციული კულტურის შემუშავება. დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი ინტელექტუალური გარემოს შექმნას, ეფექტური მომსახურების გაწევას, სწავლება-სწავლის მაღალი ხარისხის მიღწევას, რომლის პროცედურებიც დაფუძნებული იქნება გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ერთიან პრინციპზე.
8	ხელოვნების სკოლა-პანსიონთან თანამშრომლობითი ურთიერთობა	აღმასრულებელი დირექტორი, ხარისხის და ს/წ მენეჯერი, სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი	2021-2027	ხელოვნების სკოლა-პანსიონთან თანამშრომლობა ხელს შეუწყობს მაღალმთიანი რეგიონებიდან შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების ჩამოყვანას, მიუხედავად მათი რელიგიური კუთვნილებისა, სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველ და ქრისტიან მოსწავლეთა თანაცხოვრებას, მათ ინტეგრირებას ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში. აღნიშნული მათ დაეხმარება იყვნენ შემწნარებლები სხვადასხვა რელიგიების მიმართ ტოლერანტები, საკუთარი და სხვისი ინტერესების დამცველი საქართველოს მოქალაქენი.